განკარგულება:**g-49. 4925219001**
თარიღი:**07/08/2025**

2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებისათვის

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-5 ნაწილების, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი’’-ს 61-ე მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის 2025 წლის 5 აგვისტოს №05/08/01 განკარგულების საფუძველზე:

1. განისაზღვროს 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო - სააგიტაციო მასალის გამოსაფენი ადგილების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში აკრძალულია სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, დაზვერვის სააგენტოს და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

3. დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება. ეს მასალა ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება.

4. ამ განკარგულებით განსაზღვრული ადგილების გარდა სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საარჩევნო სუბიექტები ვალდებულნი არიან არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყონ სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

6. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალოთ სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების

არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

7. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს №g-49. 49242433 განკარგულება.

8. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო – სააგიტაციო მასალის

გამოსაფენი ადგილების ნუსხა

ქალაქი წყალტუბო

- ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის – ბეტონის შემოღობვა;
- დ. აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში მარჯვენა მხარეს არსებული რკინა ბეტონის კედელი;
- დ. აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში ყოფილი ბარელიეფი;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები;
- ქალაქი წყალტუბო, ტაბიძის ქუჩის დასაწყისი (მარჯვენა მხარე, ბენზინგასამართი სადგურის წინ არსებული კედელი);
- ქალაქი წყალტუბო, დედა – ენის ქუჩა, გზაჯვარედინზე შუქნიშნის მიმდებარედ არსებულ აფიშის გასაკრავ ნაგებობაზე.

რიონის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. რიონი

მგზავრთა მოსაცდელები.

სოფ. ზარათი

მგზავრთა მოსაცდელები.

სოფ. სორმონი

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები.

სოფ. ჭოლევი

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები.

მექვენის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. მექვენა

ვანისჭალაში მდებარე ყოფილი საწყობის შენობა.

<u>სოფ. დერჩი</u>

კლუბის შენობა;

ყოფილი ფოსტის შენობა;

მგზავრთა მოსაცდელი.

დღნორისის ადმინისტრაციული ერთეული

<u>სოფ. დღნორისა</u>

მგზავრთა მოსაცდელები;

ყოფილი მაღაზიის შენობა სოფლის ცენტრში.

<u>სოფ. საჩხეური</u>

მაღაზიის შენობა სოფლის ცენტრში.

<u>სოფ. ლეხინდრისთავი</u>

სახელმწიფო ბალანსზე არსებული შენობა სოფლის ცენტრში.

<u>სოფ. ჭაშლეთი</u>

ყოფილი მაღაზიის შენობა სოფლის ცენტრში.

ოფურჩხეთის ადმინისტრაციული ერთეული

სოფელ ოფურჩხეთში მდებარე მგზავრთა მოსაცდელები;

სოფელ გუმათში მდებარე მგზავრთა მოსაცდელები;

სოფელ ჯიმასტაროში მდებარე მგზავრთა მოსაცდელები;

სოფელ ჟონეთში მდებარე მგზავრთა მოსაცდელები;

სოფელ ნამოხვანში მდებარე მგზავრთა მოსაცდელები.

ცხუნკურის ადმინისტრაციული ერთეული

<u>სოფ.ცხუნკური</u>

მგზავრთა მოსაცდელები.

სოფ. ყუმისთავი

მგზავრთა მოსაცდელები;

გუმბრის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. გუმბრა

მგზავრთა მოსაცდელები;

გუმბრინის ტერიტორიაზე მდებარე ყოფილი უნივერმაღის შენობა.

სოფ. ბანოჯა

მგზავრთა მოსაცდელები.

სოფ. ხომული

მგზავრთა მოსაცდელები;

წყალტუბოს ადმინისტრაციული ერთეული

მგზავრთა მოსაცდელები;

ყოფილი სავაჭრო ობიექტი გაღმა ჩუნეშში.

გვიშტიბის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. გვიშტიბი

მგზავრთა მოსაცდელი.

სოფ. თერნალი

მგზავრთა მოსაცდელი.

გუბისწყალი

მგზავრთა მოსაცდელი.

პირველი წყალტუბო

მგზავრთა მოსაცდელები.

პატრიკეთის ადამინისტრაციული ერთეული

სოფ. ტყაჩირი

მგზავრთა მოსაცდელი.

სოფ. პატრიკეთი

მგზავრთა მოსაცდელი.

ოფშკვითის ადმინისტრაციული ერთეული

მგზავრთა მოსაცდელები.

საყულიას ადმინისტრაციული ერთეული

მგზავრთა მოსაცდელები.

გეგუთის ადმინისტრაციული ერთეული

მგზავრთა მოსაცდელები;

ყოფილი სავაჭრო ობიექტი ზედა გეგუთში.

მაღლაკის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. მაღლაკი

ზედა მაღლაკი ყოფილი საყოფაცხოვრებო სახლის შენობა;

მგზავრთა მოსაცდელები.

სოფ. მიწაწითელი

მგზავრთა მოსაცდელი.

ყოფილი სავაჭრო ობიექტი.

ფარცხანაყანევის ადმინისტრაციული ერთეული

მგზავრთა მოსაცდელები.

მუხიანის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ..უკანეთი

მგზავრთა მოსაცდელი.

სოფ. მუხიანი

მგზავრთა მოსაცდელები.

სოფ. ქვედა მესხეთი

მგზავრთა მოსაცდელები.

ქვიტირის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. ქვიტირი

მგზავრთა მოსაცდელები.

სოფ. ზედა მესხეთი

მგზავრთა მოსაცდელები.

თოკზე გასაჭიმი ბანერები

- ქალაქ წყალტუბოში ავალიანის და წერეთლის ქუჩების გადაკვეთაზე;
- ქალაქი წყალტუბო გ.ტაბიძის და 9 აპრილის ქუჩების გადაკვეთაზე;

- ქალაქი წყალტუბო დედაენის და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე;
- ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე, დევნილთა დასახლებასთან;
- სოფელი გვიშტიბი მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციის მიმდებარედ;
- სოფელი წყალტუბო ე.წ. ფარდულთან;
- სოფელი ხომული ჭავჭავაძის ქუჩის გაგრძელება;
- სოფელი ბანოჯა სასტუმრო ამირანის მიმდებარედ;
- სოფელი თერნალი ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ;
- სოფელი მაღლაკი დუქნებთან, გზაჯვარედინის მიმდებარედ;
- სოფელი ფარცხანაყანევი, სალიას უბანი მაღაზიასთან;
- სოფელი ქვიტირი რესტორან ამირანთან;
- სოფელი ქვიტირი ავტონაწილების ბაზრობასთან;
- სოფელი გეგუთი იუსტიციის სახლთან;
- სოფელი ოფშკვითი მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციის მიმდებარედ;
- სოფელი ოფურჩხეთი მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციის მიმდებარედ;